

უპირატესობა შედეგია ცოდნისა!



ნ ე ღ ნ ი ს ა

ა უ ღ ი ტ უ რ ი კ ო ნ ც ე რ ე ნ ი

შპს „ზღაპარი“

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

თბილისი

2022

სარჩევი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა	3
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	9
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	10
საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	11
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	12
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	13
1. ძირითადი ინფორმაცია	13
2. საქართველოს ბიზნეს-გარემო	13
3. მომზადების საფუძველი	13
4. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა	15
5. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	21
6. მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	21
7. გადახდილი ავანსები	21
8. მარაგები	21
9. გადასახადები	22
10. გაცემული სესხები, მისაღები პროცენტები და მათი მიმდინარე ნაწილი	22
11. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	23
12. გამოყენების უფლების მქონე აქტივები	25
13. ვალდებულებები, წარმოქმნილი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	25
14. მიღებული გრძელვადიანი სესხები და მათი მიმდინარე ნაწილი	25
15. სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	26
16. ამონაგები	27
17. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	27
18. მიწოდების ხარჯები	28
19. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	28
20. სხვა საოპერაციო ხარჯები	28
21. მოგება (ზარალი) სავალუტო საკურსო სხვაობებიდან	29
22. საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადების შეჯერება ვალდებულებების მოძრაობასთან - სესხები	29
23. საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადების შეჯერება ვალდებულებების მოძრაობასთან - პროცენტები	30
24. ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება	30
25. რისკების მართვა	30
26. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	33
27. გაუთვალისწინებელი გარემოებები	34
28. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	35
29. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	35

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების ფინანსურ შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილებას 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და განმარტებით შენიშვნებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას მოქმედი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც გარემოებები ამას შეუძლებელს ხდის.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ეფექტიანი და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ასევე ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის დადასტურებულია ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია მისი სახელით 2022 წლის 28 სექტემბერს:

დირექტორი ----- თამარ უდესიანი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ზღაპარი“-ს პარტნიორსა და მენეჯმენტს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ზღაპარი“-ს (საიდენტიფიკაციო კოდი - 205222953) (შემდგომში - „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან „ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA-კოდექსი) და საქართველოში მოქმედი ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებული ეთიკის ნორმების შესაბამისად და ჩვენ აგრეთვე შევასრულეთ IESBA-კოდექსის და ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებები. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია, რომელიც არ არის ფინანსური ანგარიშგება და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნა

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის თანახმად:

შპს „ზღაპარი“

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

გვერდი 2

„1. სდპ-მა და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოებმა უნდა მოამზადონ და სამსახურს უნდა წარუდგინონ მმართველობის ანგარიშგება...“

2. მმართველობის ანგარიშგება მოიცავს:

ა) საქმიანობის მიმოხილვას; ბ) კორპორაციული მართვის ანგარიშგებას; გ) არაფინანსურ ანგარიშგებას.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობის მიმოხილვას ამზადებენ სდპ და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები...

10. სდპ და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები ვალდებული არიან, მმართველობის ანგარიშგება მიაწოდონ აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას. აუდიტორი/აუდიტორული ფირმა გამოთქვამს თავის მოსაზრებას ამ მუხლის მე-6 პუნქტისა და მე-7 პუნქტის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტების მის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობისა და იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან თანხვედნილობის თაობაზე. აუდიტის განხორციელების პროცესში სუბიექტის შესახებ მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით აუდიტორი/აუდიტორული ფირმა განსაზღვრავს არსებით უზუსტობებს და საჭიროების შემთხვევაში მიუთითებს მათ არსს“.

კომპანია წარმოადგენს კანონით განსაზღვრულ მეორე ზომითი კატეგორიის საწარმოს. აღნიშნული მოთხოვნების შესაბამისად, კომპანიამ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანადროულად წარმოადგინა მმართველობის ანგარიშგება, საქმიანობის მიმოხილვის სახით. საქმიანობის მიმოხილვაში ასახულ ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. საქმიანობის მიმოხილვა მოიცავს ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის, ძირითადი მაჩვენებლების, რისკებისა და სამომავლო გეგმების შესახებ, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე. ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობის შესახებ

კომპანიის 2021 წლის მმართველობის ანგარიშგება (საქმიანობის მიმოხილვა) თანხვედნილია ამავე საანგარიშგებო წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით განსაზღვრული ნაწილის (საქმიანობის მიმოხილვის) ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

შპს „ზღაპარი“

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

გვერდი 5

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილი - საქმიანობის მიმოხილვა შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით. ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

გარიგების პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგად გაიცა აღნიშნული დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა:

გიორგი ცერცვაძე

შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“

საქართველო, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი 41.

28 სექტემბერი, 2022 წელი

შპს „ზღაპარი“

განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	31.12.2021	31.12.2020	შენიშვნა
მიმდინარე აქტივები:			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,770,074	1,728,268	5
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	2,411,522	2,121,784	6
გადახდილი ავანსები	1,484,193	515,225	7
მარაგები	9,538,855	8,024,518	8
წინასწარ გადახდილი გადასახადები	139,520	244,117	9
გაცემული სესხებისა და მისაღები პროცენტების მიმდინარე ნაწილი	-	197,643	10
სხვა მიმდინარე აქტივები	142,473	61,345	
მიმდინარე აქტივები სულ:	15,486,636	12,892,899	
გრძელვადიანი აქტივები :			
ძირითადი საშუალებები	3,648,702	2,779,376	11
არამატერიალური აქტივები	118,656	75,921	11
გამოყენების უფლების მქონე აქტივები	3,661,605	2,082,537	12
გრძელვადიანი აქტივები სულ:	7,428,963	4,937,834	
აქტივები სულ:	22,915,600	17,830,733	
მიმდინარე ვალდებულებები:			
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	17,458,189	14,144,006	13
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	324,380	1,292,139	14
გადასახდელი გადასახადები	-	51,714	9
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	447,176	238,727	
მიმდინარე ვალდებულებები სულ:	18,229,744	15,726,587	
გრძელვადიანი ვალდებულებები:			
მიღებული გრძელვადიანი სესხები	913,999	1,067,571	14
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	3,559,628	2,007,319	15
გრძელვადიანი ვალდებულებები სულ:	4,473,627	3,074,890	
ვალდებულებები სულ:	22,703,372	18,801,476	
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)	212,228	(970,743)	
მ.შ მიმდინარე წლის მოგება/(ზარალი)	1,182,971	216,356	
კაპიტალი სულ:	212,228	(970,743)	
ვალდებულებები და კაპიტალი სულ:	22,915,600	17,830,733	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2022 წლის 28 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- თამარ უდესიანი

თანდართული შენიშვნები მე-13 დან 35-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ზღაპარი“

განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	2021	2020	შენიშვნა
ამონაგები	104,825,574	97,423,439	16
რეალიზებული საქონლის ღირებულება	(84,571,648)	(81,492,750)	17
საერთო მოგება	20,253,926	15,930,688	
მიწოდების ხარჯები	(13,767,812)	(11,766,780)	18
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(3,657,639)	(2,318,392)	19
სხვა საოპერაციო ხარჯები	(822,764)	(587,957)	20
მოგება/(ზარალი) საოპერაციო საქმიანობიდან	2,005,711	1,257,560	
ფინანსური შემოსავალი	37,979	101,450	
ფინანსური ხარჯები	(92,047)	(137,890)	
მოგება / (ზარალი) საკუროსო სხვაობებიდან	358,590	(713,027)	21
სხვა არასაოპერაციო მოგება / (ზარალი)	(1,127,262)	(291,737)	
ზარალი არასაოპერაციო საქმიანობიდან	(822,740)	(1,041,204)	
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე:	1,182,971	216,356	
მოგება/(ზარალი) დაბეგვრის შემდეგ :	1,182,971	216,356	
სულ საანგარიშო პერიოდის სრული მოგება/(ზარალი):	1,182,971	216,356	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2022 წლის 28 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- თამარ უდესიანი

თანდართული შენიშვნები მე-13 დან 35-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ზღაპარი“

განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	გაუნაწილ. მოგება / დაუფარავი ზარალი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 31.12.2019-თვის	(1,187,099)	(1,187,099)
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/(ზარალი)	216,356	216,356
ნაშთი 31.12.2020-თვის	(970,743)	(970,743)
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/(ზარალი)	1,182,971	1,182,971
ნაშთი 31.12.2021-თვის	212,228	212,228

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2022 წლის 28 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- თამარ უდესიანი

თანდართული შენიშვნები მე-13 დან 35-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ზღაპარი“

განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	2021	2020	შენიშვნა
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:			
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	127,195,483	118,499,623	
სხვა შემოსულობანი საოპერაციო საქმიანობიდან	2,648	-	
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(110,359,527)	(102,735,274)	
გაცემული შრომის ანაზღაურება	(6,297,096)	(4,926,900)	
გადახდილი ტერმინალის ხარჯები	(493,471)	(450,570)	
ანგარიშვალდებულ პირებზე გაცემული ავანსები	(60,636)	(1,798)	
განაცემები საქველმოქმედო მიზნით	(3,000)	(31,000)	
გადახდილი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)	(3,187,871)	(2,553,416)	
საოჯარო ქირა	(4,313,028)	(5,685,732)	
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(143,647)	(108,489)	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან	2,339,855	2,006,444	
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:			
ძირითადი საშუალებებისა და სხვა გრძელვადიანი აქტივების შეძენა	(1,538,397)	(1,720,839)	
სესხების გაცემა	-	(118,555)	
გაცემული სესხების დაბრუნება	118,555	460,000	
მიღებული პროცენტები	109,158	333,383	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან	(1,310,684)	(1,046,012)	
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:			
სესხების აღება	1,411,891	344,660	22
სესხების დაფარვა	(2,319,597)	(868,475)	22
გადახდილი პროცენტები	(78,516)	(137,890)	23
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან	(986,222)	(661,706)	
ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზრდა / კლება (ნეტო)	(1,144)	(7,014)	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	41,805	291,713	
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისისათვის:	1,728,268	1,436,556	
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოსათვის:	1,770,074	1,728,268	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2022 წლის 28 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- თამარ უდესიანი

თანდართული შენიშვნები მე-13 დან 35-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ზღაპარი“

განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

1. ძირითადი ინფორმაცია

შპს „ზღაპარი“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია 2007 წლის 21 სექტემბერს ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია - 205222953. იურიდიული მისამართია - ქ. თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, ბოჭორიშვილის ქ. №2. კომპანია დარეგისტრირებულია დღგ-ის გადამხდელად.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცალო და საბითუმო ვაჭრობა არასპეციალიზებულ მაღაზიებში, როგორც საბითუმო ისე საცალო ქსელში, ასევე, სხვა საქმიანობა, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.

კომპანიის დამატებით ეკონომიკურ საქმიანობას წარმოადგენს სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების გაწევა.

კომპანიას გააჩნია 36 ფილიალი (მაღაზია). ამათგან 29 მდებარეობს ქ. თბილისში, ხოლო 7 - საქართველოს სხვა რეგიონებში.

კომპანიის დამფუძნებლები არიან:

1. გია არსენიძე (პ.ნ. 01016000857) - 26,67%;
2. ლევანი ფიჩხია (პ.ნ. 01015015877) - 12,5%;
3. კონსტანტინე გელაშვილი (პ.ნ. 01026005646) - 26,67%;
4. უზეირ ოზერ (პ.ნ. 01092001681) - 12,5%;
5. ზურაბი არსენიძე (პ.ნ. 01015021395) - 18,33%;
6. ნუნუ ლეჟავა (პ.ნ. 01005002273) - 3,33%.

კომპანიის დირექტორია - თამარ უდესიანი.

2. საქართველოს ბიზნეს-გარემო

კომპანია საქმიანობას ეწევა საქართველოში და მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები. საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას, რაც იწვევს ხშირ საკანონმდებლო ცვლილებებს.

3. მომზადების საფუძველი

ა) მომზადების ძირითადი საფუძველი

კომპანიის 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ

შპს „ზღაპარი“

განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მე-2 კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე, კომპანიის წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი სავალდებულოა.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ იმ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისათვის.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით.

ფინანსური ანგარიშგების „ფასს“-ებთან შესაბამისობით მომზადება მენეჯმენტისგან ითხოვს დაშვებების, შეფასებებისა და მოსაზრებების გამოთქმას, რომლებიც მოქმედებენ ფინანსური აღრიცხვის პოლიტიკების გამოყენებასა და აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლისა და ხარჯების, ასევე პირობითი აქტივებისა და ვალდებულებების ანგარიშგებულ თანხებზე. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ხსენებული შეფასებებისგან. შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს მომავალი ფინანსური წლის შედეგების არსებითი კორექტირებების რისკებს.

ბ) საანგარიშგებო პერიოდი

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლის ბოლოს მდგომარეობით მონაცემები იგივეა, რაც მომდევნო წლის 1 იანვრის მდგომარეობით მოყვანილი მონაცემები.

გ) წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის სამუშაო ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

დ) გაცვლითი სავალუტო კურსები

შპს „ზღაპარი“

განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.0976 ლარი; 1 EUR=3.5040 ლარი.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.2766 ლარი; 1 EUR=4.0233 ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა:

2021 წელს: 1 USD=3.2306 ლარი; 1 EUR=3.8357 ლარი.

2020 წელს: 1 USD=3.0937 ლარი; 1 EUR=3.5395 ლარი.

4. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია ის არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც მოხდა კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება.

ა) ამონაგების აღიარება

საქონლის გაყიდვა. გაყიდვა აღიარდება საქონელზე კონტროლის გადაცემისას, ანუ როდესაც საქონელი მიეწოდება მომხმარებელს, როცა მომხმარებელს სრული კონტროლი აქვს საქონელზე და არ არსებობს შეუსრულებელი მოვალეობა, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მომხმარებლის მიერ საქონლის მიღებაზე. მიწოდება ხდება მაშინ, როდესაც საქონელი მიწოდებული იქნება კონკრეტულ ადგილზე, მოძველებისა და დაკარგვის რისკები მომხმარებელს გადაეცემა, მომხმარებელი მიიღებს საქონელს ხელშეკრულების შესაბამისად, ან მიღების ვადა ამოიწურება ან კომპანიას ობიექტური მტკიცებულება აქვს, რომ მიღებისთვის საჭირო ყველა კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია.

ფასდათმობით გაყიდვები აღიარდება ხელშეკრულებაში მითითებული ფასის საფუძველზე, შეფასებული ფასდათმობის გამოკლებით. ფასდათმობის შესაფასებლად დაგროვილ გამოცდილებას იყენებენ, მოსალოდნელი ღირებულების მეთოდის მეშვეობით და ამონაგები აღიარდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მაღალია ალბათობა, რომ მნიშვნელოვანი დაბრუნება არ მოხდება. თანხის დაბრუნების ვალდებულება (რაც სავაჭრო და სხვა ვალდებულებაში აისახება) აღიარდება მოსალოდნელი მასშტაბის ფასდათმობისთვის, რაც მომხმარებლისთვის გადასახდელია საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე განხორციელებულ გაყიდვებთან დაკავშირებით.

მიიჩნევა, რომ დაფინანსების ელემენტი არ არსებობს, თუ გაყიდვები მოკლე პერიოდიანი საკრედიტო პირობით ხორციელდება, რაც ბაზარზე არსებული პრაქტიკის თანმიმდევრულია. მოთხოვნა აღიარდება საქონლის მიწოდებისას, რადგან ეს არის დროის მომენტი, როდესაც ანაზღაურების მიღება უპირობოა, რადგან გადახდის განხორციელების ვადის დადგომამდე მხოლოდ დროის გასვლაა საჭირო.

ბ) ფინანსური შემოსავლები და ხარჯები

კომპანიის ფინანსური შემოსავლები და ხარჯები მოიცავს სესხებზე დარიცხული პროცენტის თანხებს, ასევე ფინანსურ აქტივებზე და ფინანსურ ვალდებულებებზე უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეულ შემოსავლებსა და ხარჯებს.

უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული სარგებელი ან ზარალი წარმოდგენილია წმინდა ღირებულებით, როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური ხარჯი, იქიდან გამომდინარე, უცხოური ვალუტის მოძრაობით მიღებული შედეგი წმინდა შემოსავალია თუ წმინდა ხარჯი.

კომპანიის სხვა შემოსავალს წარმოადგენს ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული მოგება, კრედიტორებისგან მიღებული კრედიტ-ნოტები და საპროცენტო შემოსავალი კომერციულ ბანკებში განთავსებული დეპოზიტებიდან, გაცემული სესხებიდან, ფასიანი ქაღალდებიდან და სხვა შემოსავალი. კომპანია საპროცენტო შემოსავალს აღიარებს იმ პერიოდის შესაბამისად, რა პერიოდშიც ხდება შემოსავლის მიღება და ასახავს მას მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

გ) გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება სამუშაო ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული საკურსო სხვაობა აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დ) დასაქმებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები აღიარდება გაწეული მომსახურების საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით, თუ კომპანიას გააჩნია ამ თანხის სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში დასაქმებულ პირთაგან მიღებული მომსახურების საფუძველზე და ეს ვალდებულებები შეიძლება შეფასდეს საიმედოდ.

ე) გადასახადები

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის

შპს „ზღაპარი“

განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა 2023 წლის 1 იანვრიდან.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის, შესაბამისად, არ გააჩნიათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

2017-2021 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

ვ) მარაგები

მარაგები შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების ღირებულება განისაზღვრება ფიფო (FIFO) მეთოდის გამოყენებით (მიიჩნევა, რომ მარაგებში „პირველი შემოსული“, „პირველი გადის“) და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შემენასთან და სხვა დანახარჯებს, რომელიც მოიცავს მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდი ფასი, შემცირებული იმ მოსალოდნელი დანახარჯებით, რაც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან.

ზ) ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს მათი თვითღირებულებით (ისტორიული ღირებულება) გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი.

კომპანია არამატერიალურ აქტივებს აღრიცხავს მათი თვითღირებულებით (ისტორიული ღირებულება) გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

კომპანია აღრიცხავს ძირითადი საშუალებების ცვეთას შემცირებად ნაშთთა მეთოდით, მათი სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის მიხედვით:

შენობა-ნაგებობები	- 20 წელი;
მანქანა-დანადგარები	- 3-20 წელი;
კომპიუტერული ტექნიკა	- 2-5 წელი;
ავეჯი და ინვენტარი	- 2-5 წელი;
საოფისე აღჭურვილობა	- 2-5 წელი;
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	- 5-7 წელი;
სხვა ძირითადი საშუალებები	- 2-5 წელი;
არამატერიალური აქტივები	- 7 წელი.

შპს „ზღაპარი“

განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ძირითადი საშუალება იცვითება იმ თვიდან, როდესაც ხდება მისი ექსპლუატაციაში გაშვება ან ის მზადაა დანიშნულებისამებრ ექსპლუატაციაში გაშვებისთვის.

შეკეთებასთან ან განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისთანავე და მათი ჩართვა ხდება პერიოდის საოპერაციო ხარჯებში, თუ არ არსებობს მათი კაპიტალიზაციის საფუძველი.

არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;
- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 15% (6,67 წელი);
- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

თ) ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივი

ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს-მოდელი მდგომარეობს იმაში, თუ როგორ მართავს კომპანია ფინანსურ აქტივებს, ფულადი ნაკადების დასაგენერირებლად. ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს-მოდელი განსაზღვრავს, როგორ ხდება ფულადი ნაკადების შემოღინება, იქნება ეს სახელშეკრულებო პირობების მიხედვით, ფინანსური აქტივის გაყიდვით, თუ ორივე ერთად.

სავაჭრო მოთხოვნები, რომლებიც არ მოიცავს მნიშვნელოვან დაფინანსების კომპონენტს აღირიცხება გარიგების ღირებულებით (რაც დადგენილია ფასს 15-ის მოთხოვნების შესაბამისად).

ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და შეფასდება ამორტიზირებული ღირებულებით, მაშინ, როცა:

- 1) თუ ეს აქტივი წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც დაკავშირებული იქნება „მხოლოდ ძირის და პროცენტის გადახდებთან“ (SPPI) ნარჩენ ძირ თანხაზე. აღნიშნული შეფასება მოიხსენიება როგორც SPPI ტესტი და ხორციელდება კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტის დონეზე. საპროცენტო ამონაგები გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.
- 2) როცა კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივებს მათგან გამომდინარე ფულადი ნაკადების მიღების მიზნით.

სხვა შემთხვევებში, ფინანსური აქტივი აღირიცხება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

შპს „ზღაპარი“

განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება

დებიტორული სავაჭრო დავალიანების გაუფასურება ხდება, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები, რომ კომპანია ვერ შეძლებს შესაბამისი მისაღები მოთხოვნების მიხედვით კუთვნილი თანხის სრულად ან ნაწილობრივ მიღებას.

ისეთი ოპერაციების შედეგად წარმოქმნილ სავაჭრო მოთხოვნებთან ან სახელშეკრულებო აქტივებთან დაკავშირებით, რომლებიც ფასს 15-ის მოქმედების სფეროს განეკუთვნება და ამასთან, ფასს 15-ის შესაბამისად არ შეიცავს მნიშვნელოვან დაფინანსების კომპონენტს (ან როდესაც კომპანია იყენებს პრაქტიკული ხასიათის გამარტივებულ მიდგომას ხელშეკრულებებისთვის, რომელთა ხანგრძლივობა ერთი წელი, ან ერთ წელზე ნაკლებია), გაუფასურების ზარალის რეზერვი ყოველთვის ფასდება თანხით, რომელიც არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლია. 1 წლით ან მეტი ვადით გადაუხდელ სავაჭრო მოთხოვნებზე გაუფასურებული ზარალი აღიარდება 100%-ის ოდენობით, ხოლო სხვა სავაჭრო მოთხოვნებზე - 1%-დან 50%-მდე, თანხის გადაუხდელობის ხანგრძლივობიდან გამომდინარე.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვში ცვლილებების ოდენობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშებზე.

გაუფასურებული მოთხოვნის ჩამოწერა აისახება არსებული გაუფასურების ზარალის რეზერვის ანგარიშზე.

ი) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

კ) მოთხოვნები საქმიანობიდან და სხვა მიმდინარე მოთხოვნები

მოთხოვნები წარმოადგენენ ყველა მიმდინარე მოთხოვნებს მომსახურებიდან და მიწოდებიდან, წინასწარ გადახდილი გადასახადების და წინასწარ გაწეული ხარჯების გარდა.

სავაჭრო და სხვა დებიტორული მოთხოვნების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით, გამოკლებული გაუფასურების დანაკარგი. დებიტორული დავალიანების გაუფასურების დანაკარგი ჩამოყალიბებულია, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები, რომ კომპანია ვერ შეძლებს ყველა თანხის შეგროვებას მისაღები მოთხოვნების მიხედვით.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში რეზერვში ცვლილებების ოდენობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშებზე. ნებისმიერი მოთხოვნის ჩამოწერის ასახვა ხდება არსებული საეჭვო მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე.

ლ) აქტივების გაუფასურება

შპს „ზღაპარი“

განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ფინანსური აქტივი შეფასდება ყოველ ანგარიშგების დღეს იმ მიზნით, რომ განისაზღვროს არსებობს თუ არა მისი გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. ფინანსური აქტივი ჩაითვლება გაუფასურებულად იმ შემთხვევაში, თუ ობიექტური მტკიცებულებით ნაჩვენებია აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდგომ ზარალის შემთხვევა, რაც შესაძლებელია უარყოფითად აისახოს აღნიშნული აქტივის სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებაში, რაც ფასდება საიმედოდ. 1 წლით ან მეტი ვადით გადახდილ სავაჭრო ავანსებზე გაუფასურებული ზარალი აღიარდება 100%-ის ოდენობით.

მ) ხარჯების აღიარება

კომპანია ეწევა ხარჯებს საქმის წარმოებაზე თავის საოპერაციო საქმიანობის პროცესში, ასევე აქვს სხვა ხარჯები, რაც არ უკავშირდება მის ძირითად საქმიანობას. ხარჯების აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა შემცირება მომავალი ეკონომიკური სარგებლისა, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯების აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, გაწეული ხარჯებისა და შემოსავლებს შორის უშუალო შეპირისპირების საფუძველზე, შემოსავლების კონკრეტული მუხლების მიხედვით. თუკი ეკონომიკური სარგებლის წარმოშობა მოსალოდნელია რამდენიმე საანგარიშო პერიოდის მანძილზე და კავშირი შემოსავალთან შეიძლება მოიძებნოს მთლიანად ან ნაწილობრივ, მაშინ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხარჯის აღიარება მოხდება რაციონალური გადანაწილების მეთოდით. ხარჯის აღიარება ხდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში დაუყოვნებლივ, თუ ხარჯი აღარ ქმნის მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან როცა მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ შეესაბამება ან აღარ შეესაბამება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივად აღიარების მოთხოვნებს.

ნ) იჯარა

2015 წლის იანვარში, ბასსს-მა გამოუშვა ფასს 16 „იჯარა“, რომელიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. კომპანიამ აღნიშნული სტანდარტის გამოყენება დაიწყო 2019 წლის 1 იანვრიდან მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომით. ფასს 16-ის მოთხოვნის შესაბამისად მოიჯარე აღიარებს აქტივის „გამოყენების უფლებას“ და შესაბამის ფინანსურ ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. აქტივის ამორტიზება მოხდება იჯარის ვადის განმავლობაში და ფინანსური ვალდებულება შეფასდება ამორტიზებული ღირებულებით. მოიჯარე ყველა აღიარებული იჯარისთვის იყენებს ერთიან მოდელს, თუმცა უფლება აქვთ არ აღიარონ „მოკლევადიანი“ იჯარები და იჯარები „დაბალი ღირებულების მქონე“ აქტივებით. მეიჯარის აღრიცხვა არსებითად იგივე რჩება, რასაც ბასს 17 „იჯარა“ ითვალისწინებდა.

5. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31.12.2021	31.12.2020
ფული სალაროში	910,849	984,854
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე	859,225	743,415
	1,770,074	1,728,268

კომპანიას ანგარიშები გახსნილი აქვს საქართველოს ხუთ კომერციულ ბანკში - სს „საქართველოს ბანკი“, სს „ტერაბანკი“, სს „ლიბერთი ბანკი“, სს „თი ბი სი ბანკი“ და სს „ვითიბი ბანკი“.

6. მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან

	31.12.2021	31.12.2020
მოთხოვნები საქონლის მიწოდებიდან	856,079	810,872
მოთხოვნები მომსახურების მიწოდებიდან	1,669,327	1,379,236
საეჭვო მოთხოვნების ანარიცხები	(113,883)	(68,323)
	2,411,522	2,121,784

კომპანიის ძირითად მომხმარებლებს შეადგენენ ფიზიკური პირები. კომპანია ახორციელებს საქონლის ადგილობრივ შესყიდვას და მათ შემდგომ რეალიზაციას თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში არსებული მაღაზიათა ქსელის საშუალებით.

7. გადახდილი ავანსები

კომპანიას გააჩნია 864,193 ლარი იჯარისა და 620,000 ლარი საქონლის და სხვა მომსახურების მიმწოდებლებისათვის გადახდილი ავანსები. ყველა საავანსო თანხა გადახდილია ადგილობრივი მიმწოდებლისათვის.

8. მარაგები

	31.12.2021	31.12.2020
გასაყიდად გამოიზნული საქონელი	9,538,855	8,024,476
სხვა მარაგები	(0)	42
	9,538,855	8,024,518

შპს „ზღაპარი“

განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შემენილი მარაგების თვითღირებულება კორექტირდება (მცირდება) ბონუსური ფასდაკლებით, რომელიც განხორციელებულია მომწოდებლებთან გაფორმებული კონტრაქტების შესაბამისად.

9. გადასახადები

2016 წლამდე საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, საგადასახადო ორგანოში არსებობდა სხვადასხვა სააღრიცხვო ბარათები სხვადასხვა გადასახადების მიხედვით. შესაბამისად, შესაძლებელი იყო, რომ ერთ გადასახადში კომპანიას ჰქონოდა გადასახადის ზედმეტობა, ხოლო მეორე გადასახადში - საგადასახადო დავალიანება. 2016 წლის დასაწყისში საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით გაერთიანდა გადასახადების ბარათები და საწარმოს დავალიანება/ავანსი ბიუჯეტის მიმართ ავტომატურად აისახება ერთიან საგადასახადო ბარათზე ჯამურად.

კომპანია ძირითადად ხუთი ტიპის გადასახადის გადამხდელია: საშემოსავლო გადასახადი, დამატებული ღირებულების გადასახადი, ქონების გადასახადი, მოგების გადასახადი და იმპორტის (საბაჟო) გადასახადი.

	31.12.2021	31.12.2020
საანგარიშგებო თარიღის შემდგომ დადგენიებული ან დასადგენი გადასახადები	43,723	(51,714)
ჩასათვლელი აქტივები	75,703	105,216
ერთიანი საგადასახადო ბარათი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	20,094	138,901
	139,520	192,403

კომპანიის ერთიან საგადასახადო ბარათზე არსებული ზედმეტობა და ჩასათვლელი აქტივები აღიარებულია საგადასახადო აქტივებში, ხოლო საანგარიშგებო თარიღის შემდგომ დადგენიებული ან დასადგენი გადასახადები აღიარებულია საგადასახადო ვალდებულებებში.

10. გაცემული სესხები, მისაღები პროცენტები და მათი მიმდინარე ნაწილი

	31.12.2021	31.12.2020
სესხის ძირის მიმდინარე ნაწილი	-	118,555
სესხის პროცენტის მიმდინარე ნაწილი	-	79,087
	-	197,643

11. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

2021 წელი	მანქანა დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	კომპიუტერული ტექნიკა	ავიჯი და ინვენტარი	სხვა ძირითადი საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
ისტორიული ღირებულება							
ნაშთი 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	207,403	2,646,129	109,608	532,370	53,915	143,906	3,693,331
დამატება (გასვლა)	99,572 (65)	1,142,894 (362)	29,996	178,781	58,027	116,474 (2,269)	1,625,745 (2,695)
სულ ისტორიული ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	306,911	3,788,662	139,604	711,151	111,942	258,111	5,316,381
ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება							
ნაშთი 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	(95,900)	(607,519)	(23,843)	(150,245)	(9,791)	(26,657)	(913,955)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი ჩამოწერა	(30,022)	(561,779)	(19,519)	(105,621)	(15,131)	(21,651)	(753,724)
		-					-
სულ აკუმულირებული ცვეთა ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(125,922)	(1,169,298)	(43,363)	(255,866)	(24,922)	(48,308)	(1,667,679)
ნარჩენი ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	180,988	2,619,363	96,241	455,285	87,020	209,803	3,648,702

შპს „ზღაპარი“

განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

2020 წელი	მანქანა დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	კომპიუტერული ტექნიკა	ავიჯი და ინვენტარი	სხვა ძირითადი საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
ისტორიული ღირებულება							
ნაშთი 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	140,466	1,405,789	56,712	294,797	21,308	46,710	1,965,783
დამატება (გასვლა)	66,937	1,242,668 (2,327)	52,896	237,573	32,607	97,195	1,729,876 (2,327)
სულ ისტორიული ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	207,403	2,646,129	109,608	532,370	53,915	143,906	3,693,331
ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება							
ნაშთი 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	(79,773)	(215,526)	(10,054)	(73,350)	(1,531)	(16,571)	(396,805)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი ჩამოწერა	(16,127)	(392,383) 215	(13,789)	(76,720)	(8,260)	(10,086)	(517,366) 215
სულ აკუმულირებული ცვეთა ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(95,900)	(607,693)	(23,843)	(150,070)	(9,791)	(26,657)	(913,955)
ნარჩენი ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	111,503	2,038,436	85,765	382,300	44,124	117,249	2,779,376

	მანქანა დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	კომპიუტერული ტექნიკა	ავიჯი და ინვენტარი	სხვა ძირითადი საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
ნარჩენი ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	180,988	2,619,363	96,241	455,285	87,020	209,803	3,648,702
ნარჩენი ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	111,503	2,038,436	85,765	382,300	44,124	117,249	2,779,376
ნარჩენი ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	60,693	1,190,264	46,658	221,447	19,777	30,140	1,568,978

12. გამოყენების უფლების მეორე აქტივები

გამოყენების უფლების მეორე აქტივი წარმოადგენს საიჯარო ფართებს, რომელიც გამოყენებულია სამაღაზიე და სასაწყობე მიზნებისათვის. კომპანია მოკლევადიან იჯარებს აღრიცხავს მიმდინარე პერიოდის ხარჯებად.

	31.12.2021	31.12.2020
აქტივების გამოყენების უფლება	2,082,537	850,531
აქტივების გამოყენების უფლების ცვეთის ხარჯი	(486,072)	(367,092)
მათ შორის:		-
ხარჯები აღიარებული მიმდინარე პერიოდის ხარჯად	(486,072)	(367,092)
აქტივების გამოყენების უფლების მატება	2,065,141	1,599,097
აქტივების გამოყენების უფლება 31.12.2021	3,661,605	2,082,537

13. ვალდებულებები, წარმოქმნილი მიწოდებიდან და მომსახურებიდან

კომპანიის მიმდინარე სავაჭრო ვალდებულებების სტრუქტურა შემდეგია:

	31.12.2021	31.12.2020
მოთხოვნები საქონლის მოწოდებიდან	16,090,529	13,023,123
მოთხოვნები მომსახურების მოწოდებიდან	529,400	152,053
მოთხოვნები საიჯარო მომსახურებებიდან	838,260	968,830
	17,458,189	14,144,006

14. მიღებული გრძელვადიანი სესხები და მათი მიმდინარე ნაწილი

კომპანიას სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“-სგან მიღებული აქვს გრძელვადიანი სესხები ლარსა და ევროში.

	31.12.2021	31.12.2020
გრძელვადიანი საბანკო სესხები ეროვნულ ვალუტაში	-	-
გრძელვადიანი საბანკო სესხები უცხოურ ვალუტაში	913,999	1,067,571
	913,999	1,067,571

შპს „ზღაპარი“

განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	31.12.2021	31.12.2020
მოკლევადიანი საბანკო სესხები ეროვნულ ვალუტაში	-	39,148
მოკლევადიანი საბანკო სესხები უცხოურ ვალუტაში	324,380	1,252,992
	324,380	1,292,139

კომპანია გაფორმებული საბანკო საკრედიტო ხელშეკრულების თანახმად ვალდებულია სესხის მოქმედების განმავლობაში: არ აიღოს არანაირი ვალდებულება სხვა საფინანსო ინსტიტუტისაგან, ბანკის თანხმობის გარეშე არ გააკეთოს ინვესტიცია და არ გადასცეს სხვას მის საკუთრებაში არსებული აქტივები, ბანკის წინასწარი თანხმობის გარეშე არ გასცეს დივიდენდი, საბანკო ბრუნვების 100% აწარმოოს სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“-ს მეშვეობით. ასევე ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში მიაწოდოს ყოველთვიური ინფორმაცია კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შესახებ. ზემოთ აღნიშნული პირობების დარღვევის/შეუსრულებლობის შემთხვევაში ბანკი უფლებამოსილია გაზარდოს სესხის საპროცენტო განაკვეთი +2%-ით. კომპანიას მიღებული სესხების უზრუნველყოფისთვის თავდებად ჰყავს სხვა (მესამე) პირები მათ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებით.

15. სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები

კომპანიის სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები დაკავშირებულია გამოყენების უფლების მქონე აქტივთან. საიჯარო ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო ვადა არის 3-დან 12 წლამდე.

საიჯარო ვალდებულებები 01.01.2021	2,976,149
საიჯარო ვალდებულების მატება	2,065,141
საიჯარო ვალდებულებებთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯი	(356,990)
მოკლევადიან იჯარებთან დაკავშირებული ხარჯი	-
ცვლად საიჯარო გადახდებთან დაკავშირებული ხარჯი	(4,459,539)
ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ვალდებულების ზრდა/კლება	139,519
სულ ხარჯები:	(4,677,009)
<i>ხარჯები აღიარებული მიმდინარე პერიოდის ხარჯად</i>	<i>(4,677,009)</i>
საიჯარო ვალდებულების დაფარვა	(6,184,604)
საიჯარო ვალდებულებები 31.12.2021	3,533,696
საიჯარო ვალდებულებების მიმდინარე ნაწილი 31.12.2021	(25,933)
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები 31.12.2021	3,559,628

შპს „ზღაპარი“

განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

საიჯარო ვალდებულებები 01.01.2020	1,041,735
საიჯარო ვალდებულების მატება	7,789,378
საიჯარო ვალდებულებებთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯი	(177,820)
მოკლევადიან იჯარებთან დაკავშირებული ხარჯი	(544,066)
ცვლად საიჯარო გადახდებთან დაკავშირებული ხარჯი	(4,475,762)
ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ვალდებულების ზრდა/კლება	(12,130)
სულ ხარჯები:	(5,209,777)
<i>ხარჯები აღიარებული მიმდინარე პერიოდის ხარჯად</i>	<i>(5,209,777)</i>
საიჯარო ვალდებულების დაფარვა	(5,685,732)
საიჯარო ვალდებულებები 31.12.2020	2,976,149
საიჯარო ვალდებულებების მიმდინარე ნაწილი 31.12.2020	968,830
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები 31.12.2020	2,007,319

16. ამონაგები

	2021	2020
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	102,513,871	95,836,338
შემოსავალი მომსახურებიდან	2,628,149	1,717,527
გაყიდული საქონლის უკან დაბრუნება	(316,446)	(130,426)
	104,825,574	97,423,439

17. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

კომპანია რეალიზებული საქონლის თვითღირებულების ხარჯებში ასახვას ახორციელებს მარაგების ჩამოწერის „ფიფო“ მეთოდით.

შპს „ზღაპარი“

განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

18. მიწოდების ხარჯები

	2021	2020
შრომის ანაზღაურება მიწოდებაზე	(5,031,954)	(4,389,812)
სამეურნეო ხარჯები მიწოდებაზე	(639,744)	(544,666)
რეკლამის ხარჯები	(80,192)	(35,538)
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები მიწოდებაზე	(33,225)	(16,124)
მარკეტინგული ხარჯები	(109,196)	(47,186)
გამოყენების უფლების მქონე აქტივების ამორტიზაცია	(486,072)	(367,092)
ტერმინალის მომსახურების ხარჯები	(493,471)	(450,570)
იჯარის ხარჯები	(4,643,129)	(4,610,822)
კომუნალური ხარჯები მიწოდებაზე	(1,987,981)	(1,171,256)
დაცვის ხარჯები	(37,982)	(23,343)
საკომუნიკაციო ხარჯები მიწოდებაზე	(65,161)	(48,437)
მიწოდების სხვა ხარჯები	(159,703)	(61,932)
	(13,767,812)	(11,766,780)

19. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2021	2020
შრომის ანაზღაურება	(3,239,781)	(2,056,178)
საგადასახადო ხარჯები	(33,321)	(26,288)
რემონტის ხარჯები	(71,700)	(47,932)
საბანკო ხარჯები	(86,885)	(70,785)
სამეურნეო ხარჯები	(23,397)	(6,490)
საკონსულტაციო ხარჯები	(17,664)	(42,191)
კომპიუტერის ხარჯები	(12,598)	(12,478)
მივლინების ხარჯები	(22,147)	(6,175)
წარმომადგენლობითი ხარჯები	-	(140)
კომუნიკაციის ხარჯები	(357)	(640)
სხვა ხარჯები	(149,789)	(49,096)
	(3,657,639)	(2,318,392)

20. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2021	2020
ცვეთის ხარჯები	(777,205)	(516,910)
დაზღვევის ხარჯები	-	(35,165)
სავაჭრო მოთხოვნის გაუფასურების ხარჯები	(45,559)	(35,882)
	(822,764)	(587,957)

21. მოგება (ზარალი) სავალუტო საკურსო სხვაობებიდან

2021 წელი	დადებითი შედეგი	უარყოფითი შედეგი	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	3,591	(4,735)	(1,144)
სულ საკურსო მოგება(ზარალი) აქტივებიდან:	3,591	(4,735)	(1,144)
ვალდებულებები, წარმოქმნილი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	17,615	(345)	17,269
გადასახდელი სესხები	213,451	-	213,451
სხვა ვალდებულებები	129,013	-	129,013
სულ საკურსო მოგება(ზარალი) ვალდებულებებიდან:	360,079	(345)	359,734
სულ	363,670	(5,080)	358,590

2020 წელი	დადებითი შედეგი	უარყოფითი შედეგი	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,190	(8,199)	(7,009)
სულ საკურსო მოგება(ზარალი) აქტივებიდან:	1,190	(8,199)	(7,009)
ვალდებულებები, წარმოქმნილი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	521	(13,812)	(13,291)
გადასახდელი სესხები	-	(537,139)	(537,139)
სხვა ვალდებულებები	-	(155,588)	(155,588)
სულ საკურსო მოგება(ზარალი) ვალდებულებებიდან:	521	(706,539)	(706,018)
სულ	1,711	(714,738)	(713,027)

22. საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადების შეჯერება
ვალდებულებების მოძრაობასთან - სესხები

2021 წელი

სასესხო და სხვა ფინანსური ვალდებულება	ვალდებულება 31.12.2020	გადახდა ფულადი სახსრებით	დადებითი საკურსო სხვაობა	ვალდებულების აღება ფულადი სახსრების მიღებით	უარყოფითი საკურსო სხვაობა	ვალდებულება 31.12.2021
სასესხო ვალდებულება ფინანსური ინსტიტუტების წინაშე	2,359,710	(2,319,597)	213,626	1,411,891	-	1,238,379
სულ:	2,359,710	(2,319,597)	213,626	1,411,891	-	1,238,379

2020 წელი

სასესხო და სხვა ფინანსური ვალდებულება	ვალდებულება 31.12.2019	გადახდა ფულადი სახსრებით	დადებითი საკურსო სხვაობა	ვალდებულების აღება ფულადი სახსრების მიღებით	უარყოფითი საკურსო სხვაობა	ვალდებულება 31.12.2020
სასესხო ვალდებულება ფინანსური ინსტიტუტების წინაშე	2,346,386	(868,475)	-	344,660	(537,139)	2,359,710
სულ:	2,346,386	(868,475)	-	344,660	(537,139)	2,359,710

23. საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადების შეჯგერება ვალდებულებების მოძრაობასთან - პროცენტები

2021 წელი

საპროცენტო ვალდებულება	ვალდებულება 31.12.2020	გადახდა	დადებითი საკურსო სხვაობა	პროცენტის დარიცხვა	უარყოფითი საკურსო სხვაობა	ვალდებულება 31.12.2020
გადასახდელი პროცენტები ფინანსური ინსტიტუტებისთვის	-	(78,516)		78,516		-
სულ:	-	(78,516)	-	78,516	-	-

2020 წელი

საპროცენტო ვალდებულება	ვალდებულება 31.12.2019	გადახდა	დადებითი საკურსო სხვაობა	პროცენტის დარიცხვა	უარყოფითი საკურსო სხვაობა	ვალდებულება 31.12.2020
გადასახდელი პროცენტები ფინანსური ინსტიტუტებისთვის	-	(137,890)		137,890		-
სულ:	-	(137,890)	-	137,890	-	-

24. ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების წინასწარი გაანგარიშება მიზნად ისახავს სავარაუდო ფასის მიახლოებით განსაზღვრას, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გასაყიდად ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის თანმიმდევრული ტრანზაქციის გზით ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების დღეს. ამასთან, გაურკვევლობის გათვალისწინებით და სუბიექტური განსჯის მეშვეობით, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იქნეს ინტერპრეტირებული, როგორც რეალიზებადი აქტივების დაუყოვნებელი ნასყიდობის გზით ან ვალდებულებათა გადაცემის მეშვეობით.

კომპანიამ განსაზღვრა ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები შეფასებითი ტექნიკის გამოყენებით. შეფასების ტექნიკების მიზანია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს ფასს, რომელიც უნდა იქნეს მიღებული აქტივის გასაყიდად ან გადახდილი ვალდებულების გადაცემისთვის თანმიმდევრული ტრანზაქციის ფარგლებში ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების დღეს. გამოყენებული შეფასებითი ტექნიკა არის დისკონტირებული ფულადი საშუალებების მოძრაობის მოდელი. ყველა ფინანსური აქტივის და ფინანსური ვალდებულების სამართლიანი ღირებულება დაანგარიშდება მომავალში ძირითადი თანხისა და დარიცხული პროცენტების ფულადი საშუალებების მოძრაობის საფუძველზე, რომელთა დისკონტირება ხდება ანგარიშგების დღეს პროცენტის საბაზრო განაკვეთით.

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება მიახლოებით მათი საბალანსო ღირებულების ტოლია.

25. რისკების მართვა

მმართველობითი სისტემა

კომპანიის რისკისა და ფინანსური მართვის სისტემის მთავარი მიზანია დაცვა ისეთი მოვლენებისგან, რომლებიც აბრკოლებს კომპანიის მიზნების მიღწევას და შესაძლებლობების გამოყენებას. კომპანია აანალიზებს რისკების ეფექტური და ეფექტიანი მართვის სისტემის უდიდეს მნიშვნელობას. დანერგილია პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს კომპანიის რისკზე ორიენტირებულობას, რისკის მართვას, კონტროლსა და საქმიანობის სტანდარტებს.

ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობიდან გამომდინარე, კომპანია დგას შემდეგი რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- საბაზრო რისკი.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა იწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. კომპანია მართავს საკრედიტო რისკის დონეს, რომელზეც იგი პასუხისმგებელია საკრედიტო რისკის საერთო პოლიტიკით, რომელშიც შეფასებული და განსაზღვრულია, რა წარმოადგენს კომპანიისთვის საკრედიტო რისკს, რისკის ლიმიტი თითოეული კონტრაგენტის, გეოგრაფიული მდებარეობისა და საქმიანობის სფეროსთვის, გაქვითვის უფლება, როდესაც კონტრაგენტები ერთდროულად მოვალეები არიან და კრედიტორებიც.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიას შეექმნება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა, მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს კომპანიის ფუნქციონირებაზე. ლიკვიდურობის რისკის წინდახედული მექანიზმი გულისხმობს საკმარისი თანხისა და საკრედიტო რესურსების ქონას, რათა დაკმაყოფილებულ იქნას ბაზრის მოთხოვნები.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით.

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი):

საპროცენტო რისკი

შპს „ზღაპარი“

განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვალებადი ღირებულებით), რომელსაც ატარებს პროცენტიანი აქტივი, როგორცაა სესხი, მცოცავი საპროცენტო განაკვეთის არსებობის გამო. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება, როდესაც მოცემული ვადიანობის ფაქტობრივი ან მოსალოდნელი აქტივები მეტია ან ნაკლებია იმავე ვადიანობის ფაქტობრივ ან მოსალოდნელ ვალდებულებებზე.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური რისკების განსაზღვრაზე. კომპანია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

მგრძნობელობის ანალიზი

ლარის შესაძლო გამყარება/შესუსტება, როგორც ეს ქვემოთაა ნაჩვენები, ევროსა და აშშ დოლარის მიმართ 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გავლენას მოახდენს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებაზე და კაპიტალზე და მოგება/ზარალზე გადასახადების შემდეგ ქვემოთ მოცემული თანხების ოდენობით. სავალუტო დინამიკა პირდაპირ გავლენას არ მოახდენს სხვა მთლიან შემოსავალსა თუ კაპიტალზე.

ანალიზის თანახმად ივარაუდება, რომ ყველა სხვა ცვლადები, განსაკუთრებით საპროცენტო განაკვეთები, რჩება უცვლელი და არ ითვალისწინებს პროგნოზული გაყიდვების და შესყიდვების ზემოქმედებას.

	31.12.2021		
	EUR	USD	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	831	95	926
აქტივები სულ:	831	95	926
ვალდებულებები, წარმოქმნილი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	-	(98,587)	(98,587)
მიღებული სესხები	(353,419)	-	(353,419)
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	-	(909,569)	(909,569)
ვალდებულებები სულ:	(353,419)	(1,008,156)	(1,361,574)
ნეტო შედეგი	(352,588)	(1,008,061)	(1,360,648)
USD (10% ცვლილება)	(100,806)		
EUR (10% ცვლილება)	(35,259)		

შპს „ზღაპარი“

განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	31.12.2020		
	EUR	USD	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	705	1,568	2,273
აქტივები სულ:	705	1,568	2,273
ვალდებულებები, წარმოქმნილი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	(3,707)	(176,416)	(180,124)
მიღებული სესხები	(2,320,562)	-	(2,320,562)
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	-	(1,882,672)	(1,882,672)
ვალდებულებები სულ:	(2,324,270)	(2,059,088)	(4,383,358)
ნეტო შედეგი	(2,323,565)	(2,057,520)	(4,381,085)
USD (10% ცვლილება)	(205,752)		
EUR (10% ცვლილება)	(232,356)		

26. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს 24-ის („დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“) მიხედვით, მხარეები ითვლებიან დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. შესაძლო დაკავშირებული მხარეების თითოეული შემთხვევის განხილვისას ყურადღება უნდა მიექცეს არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას, არამედ იმასაც, თუ როგორია მათ შორის ურთიერთობა. დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ განხორციელდეს იმავე პირობებზე და თანხებზე, როგორზეც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

განხორციელებული ტრანზაქციები პარტნიორებთან

I ლარის სიზუსტით

	დაუფარავი ნაშთი 31.12.2021	დაუფარავი ნაშთი 31.12.2020	ტრანზაქციის დირებულება 2021 წელი	ტრანზაქციის დირებულება 2020 წელი
სხვა მოთხოვნები	50,518	211		
მოთხოვნები გაცემული სესხიდან	-	118,555		
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	40,069	171,300		
სხვა ვალდებულებები	-	18,616		
გაცემული ავანსები	5	1,940		
გადასახდელი ხელფასები	1,598	2,835		
ამონაგები			-	137
ძირითადი საშუალებები			1,525	-
ხელფასის ხარჯები			(1,393,858)	(1,157,137)
მივლინების ხარჯები			-	(1,700)
სხვა ხარჯები			(27,209)	(33,030)

შპს „ზღაპარი“

განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

განხორციელებული ტრანზაქციები ძირითად
მენეჯმენტთან
1 ლარის სიზუსტით

	დაუფარავი ნაშთი 31.12.2021	დაუფარავი ნაშთი 31.12.2020	ტრანზაქციის დირეზულეზა 2021 წელი	ტრანზაქციის დირეზულეზა 2020 წელი
სხვა მოთხოვნები	884	884		
გადასახდელი ხელფასები	3,189	10,065		
ხელფასის ხარჯები			(144,962)	(178,135)

ტრანზაქციები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან
1 ლარის სიზუსტით

	დაუფარავი ნაშთი 31.12.2021	დაუფარავი ნაშთი 31.12.2020	ტრანზაქციის დირეზულეზა 2021 წელი	ტრანზაქციის დირეზულეზა 2020 წელი
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	677,368	683,920		
გადახდილი ავანსები	873,985	372,905		
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	437,222	1,006,890		
გაცემული ავანსები	-	8,999		
ამონაგები			291,190	87,995
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი			-	2,331
მარაგები			2,333,207	1,594,053
ძირითადი საშუალებები			26,689	156,951
იჯარის ხარჯები			(4,584,124)	(4,630,719)
სხვა ხარჯი			(221,580)	(70,557)

27. გაუთვალისწინებელი გარემოებები

ახალი კორონავირუსის Covid-19-ის გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე

მიუხედავად Covid-19-ის შედეგად მსოფლიო პანდემიით გამოწვეული საყოველთაო და მრავალმხრივი სირთულეებისა, 2021 წელი კომპანიისათვის უდავოდ წარმატებულ წლად ფასდება. მიმდინარე წელსაც კომპანია ყველა მიმართულებით ვითარდება დამაჯერებლად, ინარჩუნებს ზრდას როგორც შემოსავლების კუთხით, ასევე ბაზარზე პოზიციონირების მხრივ. კომპანიის მენეჯმენტმა საკმაოდ ოპერატიულად გაატარა მთელი რიგი ღონისძიებები იმისთვის, რომ ახალი კორონავირუსის უარყოფითი ზეგავლენა ბიზნესზე მაქსიმალურად შეემცირებინა. პანდემიის გავრცელებას არ მოუხდენია მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის დაგეგმილ შემოსავლებზე.

სასამართლო დავები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საერთო სასამართლოებში, კომპანიას მნიშვნელოვანი სასამართლო დავები არ აქვს.

28. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

კომპანია მთლიანობაში ვითარდება დამაჯერებლად, ინარჩუნებს ზრდას როგორც შემოსავლების კუთხით, ასევე ბაზარზე პოზიციონირების მხრივ. კომპანიის მიერ 2021 წელს მოხდა დამატებით სამი ფილიალის (მაღაზია) გახსნა.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ სხვა ისეთ მნიშვნელოვან მოვლენებს, რომლებიც შეიძლება იწვევდეს ფინანსური ანგარიშგების მუხლების შესწორებას ან განმარტებითი შენიშვნების დამატებას, ადგილი არ ჰქონია.

29. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებული და გამოსაცემად ნებადართულია 2022 წლის 28 სექტემბერს კომპანიის მენეჯმენტის მიერ. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

შპს „ზღაპარი“

2021 წლის მმართველობის ანგარიშგება

(საქმიანობის მიმოხილვა)

საწარმოს დაარსების ისტორია

შპს „ზღაპარი“ (ს/კოდი 205222953) დაარსდა 2007 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მისი ძირითადი საქმიანობაა საცალო და საბითუმო ვაჭრობა, როგორც საკვები და სასმელი პროდუქტებით, ასევე სხვადასხვა საყოფაცხოვრებო და პირველადი მოხმარების პროდუქტებით.

კომპანიის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, ბოჭორიშვილის ქ. #2. სათაო ოფისი მდებარეობს გარდაზნის რაიონის სოფ. წალასყურში.

შპს „ზღაპარი“ 2021 წლის ბოლოს წარმოდგენილი იყო 36 მარკეტით. აქედან 29 თბილისში, ხოლო დანარჩენი 7 მარკეტი - საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში.

2021 წლის ბოლოსთვის კომპანიაში დასაქმებულია დაახლოებით 730-მდე თანამშრომელი.

საწარმოს სამართლებრივი სტატუსი და საფუძვლები

საწარმოს სამართლებრივი სტატუსია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და დაარსებულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

საწარმოს ახლანდელი დამფუძნებლები არიან:

- 01016000857, გია არსენიძე - 26.67%;
- 01026005646, კონსტანტინე გელშვილი - 26.67%;
- 01015021395, ზურაბი არსენიძე - 18.33%;
- 01092001681, უჩეიროჩერ თურქეთი - 12.5%;
- 01015015877, ლევანი ფიჩხაია - 12.5%;
- 01005002273, ნუნუ ლუქაძე - 3.33%.

კომპანიის დირექტორია - თამარ უდესიანი.

წესდებით განსაზღვრული კაპიტალი

კომპანიას წესდებით განსაზღვრული კაპიტალი არის 0 ლარი, რაც დაშვებულია მოქმედი კანონმდებლობით.

მმართველობითი სტრუქტურა, სამეთვალყურეო საბჭოს წევრები და დირექტორები

კომპანიას არ ჰყავს სამეთვალყურეო საბჭო.

აღმასრულებელი მენეჯერები, რომლებიც მონაწილეობენ დირექტორებთან ერთად გადაწყვეტილებების მიღების პროცესში

კომპანიის მმართველობითი სტრუქტურა შედგება შემდეგი დეპარტამენტებისგან:

- კომერციული;
- საოპერაციო;
- ფინანსური;
- მარკეტინგული;

- ადამიანური რესურსების მართვა;
- ლოგისტიკური;
- ბიზნესის განვითარება.

თითოეულ დეპარტამენტს ჰყავს მიმართულების ხელმძღვანელი, რომლებიც ექვემდებარებიან დირექტორს.

საწარმოს მისია და საქმიანობის მიზანი

კომპანიის მისია ხარისხიანი პროდუქციის და საუკეთესო მომსახურების შეთავაზება მომხმარებლებისთვის ხელმისაწვდომ ფასად.

საქმიანობის სახეები, ძირითადი სამოქმედო ბაზრები და მისი კონკურენტული მდგომარეობა ბაზრებზე საქმიანობის მიხედვით

კომპანიის ფილიალების უმეტესობა მდებარეობს თბილისში, ასევე წარმოდგენილია საქართველოს სხვადასხვა რეგიონებშიც. კონკურენტებისგან გამოირჩევა როგორც ხელმისაწვდომი ფასებით, ასევე ფართო ასორტიმენტით, მაღალი ხარისხის პროდუქციით და მომსახურების მაღალი დონით.

ინფორმაცია შვილობილი და მეკავშირე საწარმოების შესახებ

საწარმოს არ ჰყავს შვილობილი კომპანიები. კომპანიას სხვა 6 კომპანიასთან ერთობლივად დაფუძნებული აქვს ა(ა)იპ „რითეილ ასოციაცია“.

ფილიალების აღწერა, მათ შორის, მდებარეობა, ზომა, დაარსების წლები და მიზანი, მნიშვნელობა და როლი საწარმოს საქმიანობაში

დღევანდელი დღის მდგომარეობით კომპანია წარმოდგენილია სამი ფორმატის ფილიალებით:

- A > 300კვ.მეტრი.
- B 200კვ.მ - 300კვ.მ.
- C 100კვ.მ - 200კვ.მ
- EXPRESS <100კვ.მ.

პატენტებისა და სავაჭრო ნიშნების შესახებ

საწარმოს აქვს დაპატენტებული სავაჭრო ნიშანი „ზღაპარი“. გამოყენებული ფერები: ყვითელი და წითელი.

ბრენდ(ებ)ის რეპუტაციისა და სიძლიერის შესახებ

კომპანია დაარსების დღიდან ზრუნავს იმაზე, რომ „ზღაპარი“-ს ბრენდი ყოველთვის ასოცირდებოდეს მაღალ ხარისხთან.

ამის მისაღწევად და შემდეგ მიღწეულის შესანარჩუნებლად კომპანია საკმაოდ დიდ დროს და რესურსებს ხარჯავს.

აიტი-ტექნოლოგიების დანერგვის ხარისხის შესახებ

ინფორმაციული ტექნოლოგიების უსაფრთხოება და მათი გამართულად მუშაობა კომპანიისთვის კვლავ პრიორიტეტად რჩება. კომპანია მუდამ თანამშრომლობს ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტორულ კომპანიებთან რომლებიც ახდენენ კომპანიის ქსელის მონიტორინგს და რეკომენდაციების გაცემას, რომელსაც კომპანია ითვალისწინებს უსაფრთხოების მიზნით.

უსაფრთხოების (მათ შორის, კომერციული უსაფრთხოების) ზომების შესახებ

კომპანიას ჰყავს უსაფრთხოების და მონიტორინგის სამსახურის თანამშრომლები, რომლებიც ვიდეოკამერების საშუალებით ახორციელებენ მუდმივ მონიტორინგს სავაჭრო დარბაზებზე.

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, კომპანია წარმოადგენს კანონით განსაზღვრულ მე-2 ზომითი კატეგორიის საწარმოს.

2021 წლის ბოლოსათვის, კომპანიის კაპიტალი შეადგენდა 0.2 მილიონ ლარს, მოკლევადიანი აქტივების ღირებულება - 15.5 მილიონ ლარს, ხოლო გრძელვადიანი აქტივების ღირებულებამ ამავე პერიოდისთვის - 7.4 მილიონი ლარი.

2020 წლის ბოლოსათვის, კომპანიის კაპიტალი შეადგენს 1 მილიონ ლარს, მოკლევადიანი აქტივების ღირებულება - 12.9 მილიონ ლარს, ხოლო გრძელვადიანი აქტივების ღირებულებამ ამავე პერიოდისთვის შეადგინა 4.9 მილიონი ლარი.

კომპანიის ამონაგებმა 2021 წელს - 104.8 მილიონი ლარი შეადგინა, ხოლო 2020 წელს - 97.4 მილიონ ლარს შეადგენდა.

2021 წლის სახელფასო ფონდმა 8.3 მილიონი ლარი შეადგინა, ხოლო 2020 წელს - 6.4 მილიონი ლარი იყო.

ბიუჯეტში გადასახადების სახით კომპანიას 2021 წელს გადახდილი აქვს 3.0 მილიონი ლარი, ხოლო 2020 წელს - 2.4 მილიონი ლარი.

მნიშვნელოვანი არაფინანსური მაჩვენებლების შესახებ

მოხდა ცენტრალური საწყობის და მთავარი ოფისის გადმოტანა სოფ. წალასყურში 3.5 ჰექტარ მიწაზე, სადაც შესაძლებელია კომპანიის გაფართოებასთან ერთად ლოჯისტიკური ჯაჭვის განვითარება და გაზრდა.

საკადრო პოლიტიკის ძირითადი მომენტები და თანამშრომლებზე ზრუნვა/წახალისების პოლიტიკა, დაწესებული სოციალური შეღავათები

კომპანია მუდმივად ზრუნავ მისი თანამშრომლების მოტივაციასა თუ განვითარებაზე, რაც გამოიხატება შიდა გამოცდილი კადრების განვითარება-დაწინაურებით.

ასევე კომპანია უზრუნველყოფს ტრანსპორტით იმ ობიექტების თანამშრომლებს, სადაც ამის საჭიროება დგება, პანდემიის პერიოდში გაუწია დახმარება (პირველადი სამომხმარებლო პროდუქტების კალათა), აუნაზღაურა სრული გრაფიკით ხელფასები, მიუხედავად გაცდენილი საათების (პანდემიის პერიოდში შეზღუდული იყო სამუშაო დრო და გვიწევდა ობიექტების დროზე ადრე დაკეტვა).

საწარმოს მიმწოდებლების შესახებ

კომპანია თანამშრომლობს როგორც ადგილობრივ მიმწოდებლებთან, ასევე ახორციელებს იმპორტს სხვადასხვა ქვეყნებიდან.

საწარმოს მომხმარებლების შესახებ

კომპანია „ზღაპარი“ 16 წელია ოპერირებს ქართულ ბაზარზე და მისთვის მნიშვნელოვანია თითოეული მომხმარებლის ერთგულება და კმაყოფილება. მომხმარებლების მოთხოვნების

დასაკმაყოფილებლად კომპანია კვარტალში ერთხელ ატარებს მომხმარებელთა გამოკითხვას, გამოკითხვის შედეგების გათვალისწინებით ისახება სამოქმედო გეგმები დეპარტამენტების მიხედვით. კვლევების თანახმად მომხმარებლებს სურდათ მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება, რაზეც კომპანიამ ახალი სერვისის სტანდარტი დანერგა, ასევე პანდემიამ მომხმარებლები ონლაინ სივრცეში გადაიყვანა საყიდლების გასაკეთებლად, რაზეც კომპანიამ პასუხად საკუთარი ონლაინ მაღაზია გააკეთა.

ასევე აქტიურად მიმდინარეობს მომხმარებლებთან კომუნიკაცია სოციალური ქსელის მეშვეობით (Facebook), სადაც ხდება კომპანიის სიახლეების მათთვის გაცნობა და ასევე წამახალისებელი გათამაშებების მოწყობა.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, მომხმარებლებისთვის შეთავაზების სრულყოფის მიზნით, კომპანიაში მუდმივად მიმდინარეობს სხვადასხვა სახის აქციები. კერძოდ: ორ კვირაში განახლებადი, თემატური, სეზონური თუ სხვადასხვა სადღესასწაულო აქციები, რომლის მეშვეობით მომხმარებელს შეუძლია მისთვის სასურველ პროდუქტზე მიიღოს ფასდაკლება. მსგავსი აქციების ერთობლიობა კომპანიას აძლევს საშუალებას, შექმნას მომხმარებლის მოლოდინებზე დაფუძნებული შეთავაზებები და გაზარდოს მათი კმაყოფილება.

საწარმოს მიერ გაწეული საქველმოქმედო ან/და გარემოსდაცვითი ხარჯების შესახებ

კომპანია იზიარებს თავის წილ სოციალურ პასუხისმგებლობას და მუდმივად ჩართულია სხვადასხვა სახის საქველმოქმედო პროცესებში.

საწარმოს შემდგომი განვითარების გეგმები

კომპანიის დაარსების დღიდან ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცალო და საბითუმო სავაჭრო ქსელის განვითარება და მართვა. კომპანიის სტრატეგია არის მომხმარებლისთვის მაღალი ხარისხის პროდუქტების ხელმისაწვდომ ფასად შეთავაზება.

საბაზრო რისკები

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი).

სავალუტო რისკები

სავალუტო რისკი სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიის საფრთხეს სავალუტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის მერყეობით გამოწვეული ეფექტების გავლენას მის ფინანსურ მდგომარეობაზე და ფულადი ნაკადების მოძრაობაზე.

საგადასახადო რისკები

კომპანია საქართველოში აწარმოებს საქმიანობას, შესაბამისად მისი ოპერაციებიც საქართველოს კანონმდებლობითა და ნორმატიული აქტებით რეგულირდება. საგადასახადო და საკანონმდებლო რისკების თავიდან აცილების მიზნით კომპანიაში მუდმივად ხდება მიმდინარე და მომავალი საკანონმდებლო ცვლილებების მონიტორინგი, გაცნობა, ანალიზი და საჭიროების

შემთხვევაში იმგვარად რეაგირება, რომ კომპანიის საქმიანობა თანხვედრაში იყოს კანონმდებლობასთან.

სხვა რისკები, რომელმაც შეიძლება შეაფერხოს საწარმოს განვითარება და შემდგომი ფუნქციონირება, მათი მოსალოდნელობის ხარისხი

კომპანიის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის. საქმიანობის პროცესში კომპანია დგას რიგი რისკების წინაშე, რომლებსაც შესაბამისი რისკების დროულად აღმოჩენისა და პრევენციის მექანიზმებით უმკლავდება. აღნიშნული მექანიზმები მოიცავს: პროცედურებს, მონიტორინგს, შეზღუდვებს, ანალიზს, სისტემატიზაციას, ავტომატიზაციას და სხვადასხვა სახის აუდიტს.

წინამდებარე მმართველობის ანგარიშგება მომზადებულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ზღაპარის“ მიერ, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების საფუძველზე.

28 სექტემბერი 2022 წ.

_____ **თამარ უდესიანი**

დირექტორი
შპს „ზღაპარი“

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების ფინანსურ შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილებას 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და განმარტებით შენიშვნებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას მოქმედი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც გარემოებები ამას შეუძლებელს ხდის.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ეფექტიანი და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ასევე ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის დადასტურებულია ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია მისი სახელით 2022 წლის 28 სექტემბერს:

დირექტორი ----- თამარ უდესიანი

შპს „ზღაპარი“

განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	31.12.2021	31.12.2020	შენიშვნა
მიმდინარე აქტივები:			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,770,074	1,728,268	5
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	2,411,522	2,121,784	6
გადახდილი ავანსები	1,484,193	515,225	7
მარაგები	9,538,855	8,024,518	8
წინასწარ გადახდილი გადასახადები	139,520	244,117	9
გაცემული სესხებისა და მისაღები პროცენტების მიმდინარე ნაწილი	-	197,643	10
სხვა მიმდინარე აქტივები	142,473	61,345	
მიმდინარე აქტივები სულ:	15,486,636	12,892,899	
გრძელვადიანი აქტივები :			
ძირითადი საშუალებები	3,648,702	2,779,376	11
არამატერიალური აქტივები	118,656	75,921	11
გამოყენების უფლების მქონე აქტივები	3,661,605	2,082,537	12
გრძელვადიანი აქტივები სულ:	7,428,963	4,937,834	
აქტივები სულ:	22,915,600	17,830,733	
მიმდინარე ვალდებულებები:			
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	17,458,189	14,144,006	13
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	324,380	1,292,139	14
გადასახდელი გადასახადები	-	51,714	9
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	447,176	238,727	
მიმდინარე ვალდებულებები სულ:	18,229,744	15,726,587	
გრძელვადიანი ვალდებულებები:			
მიღებული გრძელვადიანი სესხები	913,999	1,067,571	14
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	3,559,628	2,007,319	15
გრძელვადიანი ვალდებულებები სულ:	4,473,627	3,074,890	
ვალდებულებები სულ:	22,703,372	18,801,476	
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)	212,228	(970,743)	
მ.შ მიმდინარე წლის მოგება/(ზარალი)	1,182,971	216,356	
კაპიტალი სულ:	212,228	(970,743)	
ვალდებულებები და კაპიტალი სულ:	22,915,600	17,830,733	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2022 წლის 28 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- თამარ უდესიანი

თანდართული შენიშვნები მე-13 დან 35-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ზღაპარი“

განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება


2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	2021	2020	შენიშვნა
ამონაგები	104,825,574	97,423,439	16
რეალიზებული საქონლის ღირებულება	(84,571,648)	(81,492,750)	17
საერთო მოგება	20,253,926	15,930,688	
მიწოდების ხარჯები	(13,767,812)	(11,766,780)	18
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(3,657,639)	(2,318,392)	19
სხვა საოპერაციო ხარჯები	(822,764)	(587,957)	20
მოგება/(ზარალი) საოპერაციო საქმიანობიდან	2,005,711	1,257,560	
ფინანსური შემოსავალი	37,979	101,450	
ფინანსური ხარჯები	(92,047)	(137,890)	
მოგება / (ზარალი) საკუთრივ სხვაობებიდან	358,590	(713,027)	21
სხვა არასაოპერაციო მოგება / (ზარალი)	(1,127,262)	(291,737)	
ზარალი არასაოპერაციო საქმიანობიდან	(822,740)	(1,041,204)	
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე:	1,182,971	216,356	
მოგება/(ზარალი) დაბეგვრის შემდეგ :	1,182,971	216,356	
სულ საანგარიშო პერიოდის სრული მოგება/(ზარალი):	1,182,971	216,356	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2022 წლის 28 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი



თამარ უდესიანი

თანდართული შენიშვნები მე-13 დან 35-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ზღაპარი“

განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება


2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	გაუნაწილ. მოგება / დაუფარავი ზარალი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 31.12.2019-თვის	(1,187,099)	(1,187,099)
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/(ზარალი)	216,356	216,356
ნაშთი 31.12.2020-თვის	(970,743)	(970,743)
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/(ზარალი)	1,182,971	1,182,971
ნაშთი 31.12.2021-თვის	212,228	212,228

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2022 წლის 28 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი



----- თამარ უდესიანი

თანდართული შენიშვნები მე-13 დან 35-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების
განუყოფელ ნაწილს.

შპს „ზღაპარი“

განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(1 ლარი)

	2021	2020	შენიშვნა
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:			
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	127,195,483	118,499,623	
სხვა შემოსულობანი საოპერაციო საქმიანობიდან	2,648	-	
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(110,359,527)	(102,735,274)	
გაცემული შრომის ანაზღაურება	(6,297,096)	(4,926,900)	
გადახდილი ტერმინალის ხარჯები	(493,471)	(450,570)	
ანგარიშვალდებულ პირებზე გაცემული ავანსები	(60,636)	(1,798)	
განაცემები საქველმოქმედო მიზნით	(3,000)	(31,000)	
გადახდილი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)	(3,187,871)	(2,553,416)	
საიჯარო ქირა	(4,313,028)	(5,685,732)	
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(143,647)	(108,489)	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან	2,339,855	2,006,444	
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:			
ძირითადი საშუალებებისა და სხვა გრძელვადიანი აქტივების შეძენა	(1,538,397)	(1,720,839)	
სესხების გაცემა	-	(118,555)	
გაცემული სესხების დაბრუნება	118,555	460,000	
მიღებული პროცენტები	109,158	333,383	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან	(1,310,684)	(1,046,012)	
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:			
სესხების აღება	1,411,891	344,660	22
სესხების დაფარვა	(2,319,597)	(868,475)	22
გადახდილი პროცენტები	(78,516)	(137,890)	23
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან	(986,222)	(661,706)	
ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზრდა / კლება (ნეტო)	(1,144)	(7,014)	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	41,805	291,713	
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისისათვის:	1,728,268	1,436,556	
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოსათვის:	1,770,074	1,728,268	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2022 წლის 28 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- თამარ უდესიანი

თანდართული შენიშვნები მე-13 დან 35-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ზღაპარი“
2021 წლის მმართველობის ანგარიშგება
(საქმიანობის მიმოხილვა)

საწარმოს დაარსების ისტორია

შპს „ზღაპარი“ (ს/კოდი 205222953) დაარსდა 2007 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მისი ძირითადი საქმიანობაა საცალო და საბითუმო ვაჭრობა, როგორც საკვები და სასმელი პროდუქტებით, ასევე სხვადასხვა საყოფაცხოვრებო და პირველადი მოხმარების პროდუქტებით.

კომპანიის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, ბოჭორიშვილის ქ. №2. სათაო ოფისი მდებარეობს გარდაბნის რაიონის სოფ. წალასყურში.

შპს „ზღაპარი“ 2021 წლის ბოლოს წარმოდგენილი იყო 36 მარკეტით. აქედან 29 თბილისში, ხოლო დანარჩენი 7 მარკეტი - საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში.

2021 წლის ბოლოსთვის კომპანიაში დასაქმებულია დაახლოებით 730-მდე თანამშრომელი.

საწარმოს სამართლებრივი სტატუსი და საფუძვლები

საწარმოს სამართლებრივი სტატუსია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და დაარსებულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

საწარმოს ახლანდელი დამფუძნებლები არიან:

- 01016000857, გია არსენიძე - 26.67%;
- 01026005646, კონსტანტინე გელაშვილი - 26.67%;
- 01015021395, ზურაბი არსენიძე - 18.33%;
- 01092001681, უზეირ ოზერ, თურქეთი - 12.5%;
- 01015015877, ლევანი ფიჩხაია - 12.5%;
- 01005002273, ნუნუ ლეჟავა - 3.33%.

კომპანიის დირექტორია - თამარ უდესიანი.

წესდებით განსაზღვრული კაპიტალი

კომპანიას წესდებით განსაზღვრული კაპიტალი არის 0 ლარი, რაც დაშვებულია მოქმედი კანონმდებლობით.

მმართველობითი სტრუქტურა, სამეთვალყურეო საბჭოს წევრები და დირექტორები

კომპანიას არ ჰყავს სამეთვალყურეო საბჭო.

აღმასრულებელი მენეჯერები, რომლებიც მონაწილეობენ დირექტორებთან ერთად გადაწყვეტილებების მიღების პროცესში

კომპანიის მმართველობითი სტრუქტურა შედგება შემდეგი დეპარტამენტებისგან:

- კომერციული;
- საოპერაციო;
- ფინანსური;
- მარკეტინგული;

- ადამიანური რესურსების მართვა;
- ლოგისტიკური;
- ბიზნესის განვითარება.

თითოეულ დეპარტამენტს ჰყავს მიმართულების ხელმძღვანელი, რომლებიც ექვემდებარებიან დირექტორს.

საწარმოს მისია და საქმიანობის მიზანი

კომპანიის მისია ხარისხიანი პროდუქციის და საუკეთესო მომსახურების შეთავაზება მომხმარებლებისთვის ხელმისაწვდომ ფასად.

საქმიანობის სახეები, ძირითადი სამოქმედო ბაზრები და მისი კონკურენტული მდგომარეობა ბაზრებზე საქმიანობის მიხედვით

კომპანიის ფილიალების უმეტესობა მდებარეობს თბილისში, ასევე წარმოდგენილია საქართველოს სხვადასხვა რეგიონებშიც. კონკურენტებისგან გამოირჩევა როგორც ხელმისაწვდომი ფასებით, ასევე ფართო ასორტიმენტით, მაღალი ხარისხის პროდუქციით და მომსახურების მაღალი დონით.

ინფორმაცია შვილობილი და მეკავშირე საწარმოების შესახებ

საწარმოს არ ჰყავს შვილობილი კომპანიები. კომპანიას სხვა 6 კომპანიასთან ერთობლივად დაფუძნებული აქვს ა(ა)იპ „რითეილ ასოციაცია“.

ფილიალების აღწერა, მათ შორის, მდებარეობა, ზომა, დაარსების წლები და მიზანი, მნიშვნელობა და როლი საწარმოს საქმიანობაში

დღევანდელი დღის მდგომარეობით კომპანია წარმოდგენილია სამი ფორმატის ფილიალებით:

- A > 300კვ.მეტრი.
- B 200კვ.მ - 300კვ.მ.
- C 100კვ.მ - 200კვ.მ
- EXPRESS <100კვ.მ.

პატენტებისა და სავაჭრო ნიშნების შესახებ

საწარმოს აქვს დაპატენტებული სავაჭრო ნიშანი „ზღაპარი“. გამოყენებული ფერები: ყვითელი და წითელი.

ბრენდ(ებ)ის რეპუტაციისა და სიძლიერის შესახებ

კომპანია დაარსების დღიდან ზრუნავს იმაზე, რომ „ზღაპარი“-ს ბრენდი ყოველთვის ასოცირდებოდეს მაღალ ხარისხთან.

ამის მისაღწევად და შემდეგ მიღწეულის შესანარჩუნებლად კომპანია სავსაშუალო დიდ დროს და რესურსებს ხარჯავს.

აიტი-ტექნოლოგიების დანერგვის ხარისხის შესახებ

ინფორმაციული ტექნოლოგიების უსაფრთხოება და მათი გამართულად მუშაობა კომპანიისთვის კვლავ პრიორიტეტად რჩება. კომპანია მუდამ თანამშრომლობს ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტორულ კომპანიებთან რომლებიც ახდენენ კომპანიის ქსელის მონიტორინგს და რეკომენდაციების გაცემას, რომელსაც კომპანია ითვალისწინებს უსაფრთხოების მიზნით.

უსაფრთხოების (მათ შორის, კომერციული უსაფრთხოების) ზომების შესახებ

კომპანიას ჰყავს უსაფრთხოების და მონიტორინგის სამსახურის თანამშრომლები, რომლებიც ვიდეოკამერების საშუალებით ახორციელებენ მუდმივ მონიტორინგს სავაჭრო დარბაზებზე.

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, კომპანია წარმოადგენს კანონით განსაზღვრულ მე-2 ზომითი კატეგორიის საწარმოს.

2021 წლის ბოლოსათვის, კომპანიის კაპიტალი შეადგენდა 0.2 მილიონ ლარს, მოკლევადიანი აქტივების ღირებულება - 15.5 მილიონ ლარს, ხოლო გრძელვადიანი აქტივების ღირებულებამ ამავე პერიოდისთვის - 7.4 მილიონი ლარი.

2020 წლის ბოლოსათვის, კომპანიის კაპიტალი შეადგენს 1 მილიონ ლარს, მოკლევადიანი აქტივების ღირებულება - 12.9 მილიონ ლარს, ხოლო გრძელვადიანი აქტივების ღირებულებამ ამავე პერიოდისთვის შეადგინა 4.9 მილიონი ლარი.

კომპანიის ამონაგებმა 2021 წელს - 104.8 მილიონი ლარი შეადგინა, ხოლო 2020 წელს - 97.4 მილიონ ლარს შეადგენდა.

2021 წლის სახელფასო ფონდმა 8.3 მილიონი ლარი შეადგინა, ხოლო 2020 წელს - 6.4 მილიონი ლარი იყო.

ბიუჯეტში გადასახადების სახით კომპანიას 2021 წელს გადახდილი აქვს 3.0 მილიონი ლარი, ხოლო 2020 წელს - 2.4 მილიონი ლარი.

მნიშვნელოვანი არაფინანსური მაჩვენებლების შესახებ

მოხდა ცენტრალური საწყობის და მთავარი ოფისის გადმოტანა სოფ. წალასყურში 3.5 ჰექტარ მიწაზე, სადაც შესაძლებელია კომპანიის გაფართოებასთან ერთად ლოჯისტიკური ჯაჭვის განვითარება და გაზრდა.

საკადრო პოლიტიკის ძირითადი მომენტები და თანამშრომლებზე ზრუნვა/წახალისების პოლიტიკა, დაწესებული სოციალური შეღავათები

კომპანია მუდმივად ზრუნავ მისი თანამშრომლების მოტივაციასა თუ განვითარებაზე, რაც გამოიხატება შიდა გამოცდილი კადრების განვითარება-დაწინაურებით.

ასევე კომპანია უზრუნველყოფს ტრანსპორტით იმ ობიექტების თანამშრომლებს, სადაც ამის საჭიროება დგება, პანდემიის პერიოდში გაუწია დახმარება (პირველადი სამომხმარებლო პროდუქტების კალათა), აუნაზღაურა სრული გრაფიკით ხელფასები, მიუხედავად გაცდენილი საათების (პანდემიის პერიოდში შეზღუდული იყო სამუშაო დრო და გვიწევდა ობიექტების დროზე ადრე დაკეტვა).

საწარმოს მიმწოდებლების შესახებ

კომპანია თანამშრომლობს როგორც ადგილობრივ მიმწოდებლებთან, ასევე ახორციელებს იმპორტს სხვადასხვა ქვეყნებიდან.

საწარმოს მომხმარებლების შესახებ

კომპანია „ზღაპარი“ 16 წელია ოპერირებს ქართულ ბაზარზე და მისთვის მნიშვნელოვანია თითოეული მომხმარებლის ერთგულება და კმაყოფილება. მომხმარებლების მოთხოვნების

დასაკმაყოფილებლად კომპანია კვარტალში ერთხელ ატარებს მომხმარებელთა გამოკითხვას, გამოკითხვის შედეგების გათვალისწინებით ისახება სამოქმედო გეგმები დეპარტამენტების მიხედვით. კვლევების თანახმად მომხმარებლებს სურდათ მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება, რაზეც კომპანიამ ახალი სერვისის სტანდარტი დანერგა, ასევე პანდემიამ მომხმარებლები ონლაინ სივრცეში გადაიყვანა საყიდლების გასაკეთებლად, რაზეც კომპანიამ პასუხად საკუთარი ონლაინ მაღაზია გააკეთა.

ასევე აქტიურად მიმდინარეობს მომხმარებლებთან კომუნიკაცია სოციალური ქსელის მეშვეობით (Facebook), სადაც ხდება კომპანიის სიახლეების მათთვის გაცნობა და ასევე წამახალისებელი გათამაშებების მოწყობა.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, მომხმარებლებისთვის შეთავაზების სრულყოფის მიზნით, კომპანიაში მუდმივად მიმდინარეობს სხვადასხვა სახის აქციები. კერძოდ: ორ კვირაში განახლებადი, თემატური, სეზონური თუ სხვადასხვა სადღესასწაულო აქციები, რომლის მეშვეობით მომხმარებელს შეუძლია მისთვის სასურველ პროდუქტზე მიიღოს ფასდაკლება. მსგავსი აქციების ერთობლიობა კომპანიას აძლევს საშუალებას, შექმნას მომხმარებლის მოლოდინებზე დაფუძნებული შეთავაზებები და გაზარდოს მათი კმაყოფილება.

საწარმოს მიერ გაწეული საქველმოქმედო ან/და გარემოსდაცვითი ხარჯების შესახებ
კომპანია იზიარებს თავის წილ სოციალურ პასუხისმგებლობას და მუდმივად ჩართულია სხვადასხვა სახის საქველმოქმედო პროცესებში.

საწარმოს შემდგომი განვითარების გეგმები

კომპანიის დაარსების დღიდან ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცალო და საბითუმო სავაჭრო ქსელის განვითარება და მართვა. კომპანიის სტრატეგია არის მომხმარებლისთვის მაღალი ხარისხის პროდუქტების ხელმისაწვდომ ფასად შეთავაზება.

საბაზრო რისკები

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები იმერყევეს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი).

სავალუტო რისკები

სავალუტო რისკი სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიის საფრთხეს სავალუტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის მერყეობით გამოწვეული ეფექტების გავლენას მის ფინანსურ მდგომარეობაზე და ფულადი ნაკადების მოძრაობაზე.

საგადასახადო რისკები


კომპანია საქართველოში აწარმოებს საქმიანობას, შესაბამისად მისი ოპერაციებიც საქართველოს კანონმდებლობითა და ნორმატიული აქტებით რეგულირდება. საგადასახადო და საკანონმდებლო რისკების თავიდან აცილების მიზნით კომპანიაში მუდმივად ხდება მიმდინარე და მომავალი საკანონმდებლო ცვლილებების მონიტორინგი, გაცნობა, ანალიზი

და საჭიროების შემთხვევაში იმგვარად რეაგირება, რომ კომპანიის საქმიანობა თანხვედრაში იყოს კანონმდებლობასთან.

სხვა რისკები, რომელმაც შეიძლება შეაფერხოს საწარმოს განვითარება და შემდგომი ფუნქციონირება, მათი მოსალოდნელობის ხარისხი კომპანიის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის. საქმიანობის პროცესში კომპანია დგას რიგი რისკების წინაშე, რომლებსაც შესაბამისი რისკების დროულად აღმოჩენისა და პრევენციის მექანიზმებით უმკლავდება. აღნიშნული მექანიზმები მოიცავს: პროცედურებს, მონიტორინგს, შეზღუდვებს, ანალიზს, სისტემატიზაციას, ავტომატიზაციას და სხვადასხვა სახის აუდიტს.

წინამდებარე მმართველობის ანგარიშგება მომზადებულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ზღაპრის“ მიერ, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების საფუძველზე.

28 სექტემბერი 2022 წ.

 _____ თამარ უდესიანი

დირექტორი
შპს „ზღაპარი“



შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“

საიდენტიფიკაციო N 211344188. www.tsodnisa.ge ელ. ფოსტა: info@tsodnisa.ge
თბილისი 0177, ვაჟა-ფშაველას გამზ. N 41, IV სართული. ტელ.: 239-33-50, 239-33-69

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ზღაპარი“-ს პარტნიორსა და მენეჯმენტს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ზღაპარი“-ს (საიდენტიფიკაციო კოდი - 205222953) (შემდგომში - „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან „ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA-კოდექსი) და საქართველოში მოქმედი ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებული ეთიკის ნორმების შესაბამისად და ჩვენ აგრეთვე შევასრულეთ IESBA-კოდექსის და ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებები. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია, რომელიც არ არის ფინანსური ანგარიშგება და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნა

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის თანახმად:

„1. სდპ-მა და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოებმა უნდა მოამზადონ და სამსახურს უნდა წარუდგინონ მმართველობის ანგარიშგება...“

2. მმართველობის ანგარიშგება მოიცავს:

ა) საქმიანობის მიმოხილვას; ბ) კორპორაციული მართვის ანგარიშგებას; გ) არაფინანსურ ანგარიშგებას.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობის მიმოხილვას ამზადებენ სდპ და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები...

10. სდპ და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები ვალდებული არიან, მმართველობის ანგარიშგება მიაწოდონ აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას. აუდიტორი/აუდიტორული ფირმა გამოთქვამს თავის მოსაზრებას ამ მუხლის მე-6 პუნქტისა და მე-7 პუნქტის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტების მის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობისა და იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან თანხვედრილობის თაობაზე. აუდიტის განხორციელების პროცესში სუბიექტის შესახებ მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით აუდიტორი/აუდიტორული ფირმა განსაზღვრავს არსებით უზუსტობებს და საჭიროების შემთხვევაში მიუთითებს მათ არსს“.

კომპანია წარმოადგენს კანონით განსაზღვრულ მეორე ზომითი კატეგორიის საწარმოს. აღნიშნული მოთხოვნების შესაბამისად, კომპანიამ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანადროულად წარმოადგინა მმართველობის ანგარიშგება, საქმიანობის მიმოხილვის სახით. საქმიანობის მიმოხილვაში ასახულ ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. საქმიანობის მიმოხილვა მოიცავს ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის, ძირითადი მაჩვენებლების, რისკებისა და სამომავლო გეგმების შესახებ, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე. ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედრილობის შესახებ

კომპანიის 2021 წლის მმართველობის ანგარიშგება (საქმიანობის მიმოხილვა) თანხვედრილია ამავე საანგარიშგებო წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით განსაზღვრული ნაწილის (საქმიანობის მიმოხილვის) ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
გვერდი 5

ჩვენ აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილი - საქმიანობის მიმოხილვა შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით. ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

